ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 674

“20” დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. № 37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 -ში (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების ფარგლებში დაზარალებული პირების მიმართ თანხის და ფართის სახით გასაცემი ვალდებულებების შესრულების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების'' 35-ე მუხლისა და „მისამართებზე - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. № 4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. № 55 (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებებს შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 19 დეკემბრის №24.2202.2486 განკარგულების, აგრეთვე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2024 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმის №13-ის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, განხორციელდეს „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55-ში (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი № 5-ით განსაზღვრული დაზარალებული შემდეგი პირებისთვის მათ სარგებლობაში ან/და მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებების საბანკო ვალდებულებებისგან გათავისუფლებისთვის საჭირო ღონისძიებები:

ა) მიეცეს კომპენსაცია „მისამართებზე: - ქ. თბილისი, საირმეს ქ. №37 (ს/კ. №01.10.14.024.036), ქ. თბილისი, მუხაძის ქ. №4 (ს/კ. №01.14.11.024.004), ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №55 -ში (ს/კ. №01.14.11.024.012) - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა მიმართ გასაცემი ვალდებულებების

შესრულებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის №641 განკარგულების დანართი №5-ით გათვალისწინებულ შემდეგ პირს - თამარ ჩაკვეტაძეს (პ/ნ: 01008031965) – 19 267 (ცხრამეტი ათას ორას სამოცდაშვიდი) აშშ დოლარი;

ბ) დანართი №6-ით განსაზღვრული იურიდიული პირის სს „თიბისი ბანკის“ (ს/ნ: 204854595) მიერ წარმოდგენილ ანგარიშზე ჩაირიცხოს:

ბ.ა) უძრავი ქონების - 01.10.14.022.005.01.01.010ბ იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით - 25 071 (ოცდახუთი ათას სამოცდათერთმეტი მეათასედი) აშშ დოლარი და 7540 (შვიდი ათას ხუთას ორმოცი) ლარი;

ბ.ბ) უძრავი ქონების - ს/კ: №01.14.14.002.047.02.549 იპოთეკური ვალდებულებისგან გათავისუფლების მიზნით - 54 700 (ორმოცდათოთხმეტი ათას შვიდასი) აშშ დოლარი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გადარიცხვის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის ექვივალენტით ეროვნულ ვალუტაში.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე